უცხოურ ვალუტაში დენომინირებული აქტივები და ვალდებულებები იწვევენ სავალუტო რისკს. კომპანიას არ აქვს ფორმალური პროცედურები სავალუტო რისკის მართვასთან მიმართებაში, თუმცა ხელმძღვანელობა საკუთარ თავს მიიჩნევს კარგად ინფორმირებულად ეკონომიკაში მიმდინარე მოვლენების შესახებ და მათ გადადგეს გარკვეული ნაბიჯები სავალუტო რისკის შესამცირებლად.

ფინანსური აქტივები ვალუტის მიხედვით:

	ლარი	დოლარი	ევრო	სულ
ფული და ფულის ექვივალენტები	910,103	446,653	-	1,356,756
მოთხოვნები საკრედიტო				
დაწესებულებებისადმი	2,295,088	4,306,807	-	6,601,895
ვადადამდგარი სადაზღვევო პრემიის				
მოთხოვნა	3,458,986	3,645,421	86,145	7,190,552
ნაშთი 2019 წლის 31 დეკემბერს	6,664,177	8,398,881	86,145	15,149,203
ფული და ფულის ექვივალენტები	1,768,063	37,612	321	1,805,996
მოთხოვნები საკრედიტო				
დაწესებულებებისადმი	2,230,148	3,194,983	-	5,425,131
ვადადამდგარი სადაზღვევო პრემიის				
მოთხოვნა	3,969,250	4,028,489	77,781	8,075,520
ნაშთი 2018 წლის 31 დეკემბერს	7,967,461	7,261,084	78,102	15,306,647

ფინანსური ვალდებულებები ვალუტის მიხედვით:

	ლარი	დოლარი	ევრო	სულ
მიღებული სესხები	688,710	34,558	1,762,657	2,485,925
საიჯარო ვალდებულებები	140,568	734,931	-	875,499
ნაშთი 2019 წლის 31 დეკემბერს	829,278	769,489	1,762,657	3,361,424
მიღებული სესხები	732,962	1,715,832	-	2,448,794
ნაშთი 2018 წლის 31 დეკემბერს	732,962	1,715,832	-	2,448,794

ლარის გაცვლითი კურსის 10%-იანი გამყარება/გაუფასურება აშშ დოლარის მიმართ შეამცირებს/გაზრდის მოგებას 648,181 ლარით (2018: ლ 471,346), ხოლო 10%-იანი გამყარება/გაუფასურება ევროს მიმართ გაზრდის/შეამცირებს მოგებას 142,395 ლარით (2018: -ლ 6,639).

სს არდი დაზღვევა

ფინანსური ანგარიშგება 2019 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის

ქართულ ლარში

განმარტებითი შენიშვნები (გაგრძელება)

კაპიტალის მართვა

კაპიტალის მართვის მთავარი მიზანი არის შესაბამისი დონის მონიტორინგი და შენარჩუნება ნებისმიერ დროს, კომპანიის კაპიტალის მართვის მიზნებია:

- საქართველოს დაზღვევის სახელმწიფო ზედამხედველობის სამსახურების მოთხოვნების დაცვა;
- სადაზღვევო ვალდებულებების დასაფარად მიღებული აქტივების შემადგენლობისა და სტრუქტურის შენარჩუნება რომ მოხდეს სადაზღვევო ვალდებულებების დაფარვა რეგულირების მოთხოვნების შესაბამისად და გადამეტების შემთხვევაში და
- კომპანიის სტაბილურობის აუცილებელი დონის შენარჩუნება და ამით უზრუნველყოს უსაფრთხოების დონის დაცვა;

მარეგულირებლის მოთხოვნები

2017 წლის 25 დეკემბერს გამოქვეყნებული სსიპ საქართველოს დაზღვევის სახელმწიფო ზედამხედველობის სამსახურის №27 დირექტივის თანახმად, მინიმალური კაპიტალი 2018 წლის 31 დეკემბრიდან მთელი პერიოდის განმავლობაში უნდა იყოს 1/3-ის ოდენობის ან 4,200 ათასი ლარის , კომპანიამ ნებისმიერ დროს უნდა შეინარჩუნოს ეს თანხა, როგორც ფულით ისე ფულის ექვივალენტებით ან საბანკო ნაშთებით.

2016 წლის 16 სექტემბერს, სსიპ საქართველოს დაზღვევის სახელმწიფო ზედამხედველობის სამსახურმა გამოაქვეყნა დირექტივა №15 და №16 რეგულაცია გადახდისუნარიანობის მარჟის ("არ ეს ემ") და კაპიტალის შესახებ.

კანონები ასევე ითვალისწინებს მოთხოვნებს მინიმალური კაპიტალის შენარჩუნების შესახებ. იმის გათვალისწინებით რომ 2017 წელი დირექტივების გარდამავალი პერიოდი იყო ზემოთაღნიშნული მოთხოვნები იყო შემდეგი:

- საზედამხედველო კაპიტალი უნდა იყოს მინიმუმ 4,200 ათასი ლარი 2019 წლის 1 იანვრიდან 2020 წლის 31 დეკემბრამდე.
- საზედამხედველო კაპიტალი უნდა იყოს მინიმუმ 7,200 ათასი ლარი 2020 წლის 31 დეკემბრის პერიოდის განმავლობაში.
- 2019 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, კომპანიის კაპიტალის ოდენობა შეესაბამება საზედამხედველო კაპიტალის დონეს.

ქვემოთ მოცემულია საზედამხედველო კაპიტალი:

სს არდი დამღვევა

ფინანსური ანგარიშგება 2019 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის

ქართულ ლარში

განმარტებითი შენიშვნები (გაგრძელება)

სულ კაპიტალი:	11,053,644
დისკონტირებული აქტივები:	
გუდვილი და სხვა არამატერიალური აქტივები, წმინდა	345,796
გადავადებული საკომისიო ხარჯი	2,014,673
ნაღდი ფული სალაროში – 100 000 ლარს ზემოთ	12,217
საინვესტიციო ქონება	228,840
მოთხოვნები	23,600
გადახდილი ავანსები	81,836
მოთხოვნები საწარმოო პერსონალის მიმართ	7,536
მარაგები	47,396
სხვა	3,000
სულ დისკონტირებული აქტივები:	2,764,894
საზედამხედველო კაპიტალი	8,288,750
მინიმალური საწესდებო კაპიტალის მოთხოვნა	4,200,000
გადახდისუნარიანობის მაჩვენებელი	8,041,800
საზედამხედველო კაპიტალის (ზედმეტობა/დანაკლისი)	4,088,750
საზედამხედველო კაპიტალის (ზედმეტობა/დანაკლისი)	246,950

26. პირობითი ვალდებულებები

საოპერაციო იჯარის ვალდებულებები - კომპანია, როგორც მოიჯარე

წინა პერიოდების განმავლობაში კომპანიას გაფორმებული აქვს საოპერაციო იჯარაზე ხელშეკრულებები ერთი წლის ვადით, საოპერაციო საქმიანობის საწარმოებლად კომპანიას გაფორმებული აქვს ერთწლიანი ხელშეკრულებები , რომელიც გამოიყენება არქივისთვის და კომპანია წარმოდგენილია როგორც მეიჯარე. წლიური საიჯარო გადასახადი შეადგენს 144,301 ლარს.

სს არდი დაზღვევა

ფინანსური ანგარიშგება 2019 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის

ქართულ ლარში

განმარტებითი შენიშვნები (გაგრძელება)

საოპერაციო იჯარის დანიშნულება:	დანწყების თარიღი	დასრულების თარიღი	ვალუტა	ყოველთვიური გადასახადი (ლარი)
სარდაფი I	1-ივლ-19	1-ივლ-21	ლარი	250
სარდაფი II	14-სექ-16	31-დეკ-24	ლარი	5,500
კომერციული ფართი	1-აპრ-19	1-აპრ-24	დოლარი	5,850
ავტოფარეხი	1-ივნ-14	1-ივნ-20	ლარი	125
მანქანა	20-თებ-18	31-დეკ-20	ლარი	300

საოპერაციო იჯარა:	ლარი
1 წელზე ნაკლები	144,301
1-დან 5 წლამდე	721,505
5 წელზე მეტი	-

27. გარიგებები დაკავშირებულ მხარეებთან

დაკავშირებული მხარე არის პიროვნება ან საწარმო, დაკავშირებული იმ ორგანიზაციისთან, რომელიც ამჟამად ფინანსურ ანგარიშგებას (ზემოაღნიშნული საწარმო წინამდებარე სტანდარტში მოიხსენიება როგორც „ანგარიშვალდებული საწარმო“).

ა) პიროვნება ან მისი ახლო ნათესავი მიიჩნევა ანგარიშვალდებული ორგანიზაციისთვის დაკავშირებულ მხარედ, თუ:

(I) ეს პიროვნება აკონტროლებს ან ერთობლივად აკონტროლებს ანგარიშვალდებულ ორგანიზაციას; ან

(II) მას აქვს მნიშვნელოვანი გავლენა ანგარიშვალდებულ საწარმოზე; ან

(III) არის ანგარიშვალდებული ორგანიზაციის ან მისი სათავო ორგანიზაციის უმაღლესი რანგის ხელმძღვანელობის წევრი.

ბ) საწარმო მიიჩნევა ანგარიშვალდებული ორგანიზაციისთვის დაკავშირებულ მხარედ, თუ შემდეგი პირობებიდან რომელიმე არსებობს:

(I) ეს საწარმო და ანგარიშვალდებული საწარმო არიან ერთი და იმავე ჯგუფის წევრები (რაც იმას ნიშნავს, რომ სათავო საწარმო, შვილობილი საწარმო და იმავე სათავო ორგანიზაციის სხვა შვილობილი საწარმოები ერთმანეთთან არიან დაკავშირებულები);

(II) ერთ-ერთი საწარმო არის მეორის მეკავშირე საწარმო ან ერთობლივი საწარმო (ან იმ ჯგუფის რომელიმე წევრის მეკავშირე საწარმო ან ერთობლივი საწარმო, რომლის წევრიც არის მეორე საწარმო);

(III) ორივე საწარმო წარმოადგენს ერთი და იმავე მესამე მხარის ერთობლივ ორგანიზაციას;

სს არდი დაზღვევა

ფინანსური ანგარიშგება 2019 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის

ქართულ ლარში

განმარტებითი შენიშვნები (გაგრძელება)

(IV) ერთი საწარმო არის რომელიმე მესამე მხარის ერთობლივი საქმიანობა, ხოლო მეორე საწარმო იმავე მესამე მხარის შეკავშირე საწარმოა;

(V) ეს საწარმო არის ან ანგარიშვალდებული საწარმოს ან ანგარიშვალდებულ საწარმოსთან დაკავშირებული რომელიმე მხარის დაქირავებულ მომუშავეთა შრომითი საქმიანობის შემდგომი გასამრტელოების პროგრამის განმახორციელებელი. თუ ანგარიშვალდებული პირი თვითონ არის ამგვარი პროგრამის განმახორციელებელი, სპონსორი დამქირავებლებიც ანგარიშვალდებული საწარმოსთვის დაკავშირებულ მხარედ მიიჩნევა.

(VI) ამ საწარმოს აკონტროლებს ან ერთობლივად აკონტროლებს (1) პუნქტში მითითებული რომელიმე პიროვნება.

(VII) (1) პუნქტში მითითებულ რომელიმე პიროვნებას აქვს მნიშვნელოვანი გავლენა ამ საწარმოზე, ან ეს პიროვნება არის ზემოთაღნიშნული საწარმოს (ან მისი სათავოს) უმაღლესი რანგის ხელმძღვანელობის წევრი.

(VIII) ეს საწარმო ან იმავე ჯგუფში შემავალი სხვა საწარმო, რომელსაც მოცემული საწარმო განეკუთვნება, ანგარიშვალდებულ საწარმოს, ან ანგარიშვალდებული საწარმოს სათავო საწარმოსთვის ასრულებს მმართველობით მომსახურებას.

ტრანზაქციები მფლობელებთან და სხვა დაკავშირებულ მხარეებთან:	2019	2018
საპროცენტო შემოსავალი	-	-
საპროცენტო ხარჯი	99,212	139,213
ბალანსი:	2019	2018
სადაზღვევო მოთხოვნები	136,405	135,672
გაცემული სესხი	413,988	490,226

არსებითი ტრანზაქცია დაკავშირებულ მხარეებთან იყო მხოლოდ სესხების გაცემა (გ/შენიშვნა 18) და შესაბამისი სარგებლის დარიცხვა (გ/შ 5).

უმაღლესი რანგის მენეჯმენტის ანაზღაურება იყო შემდეგი:

	2019	2018
ხელფასი და პრემია	1,404,776	1,527,662

28. საანგარიშგებო პერიოდის შემდეგ მომხდარი მოვლენები

ეს ფინანსური ანგარიშგება დამტკიცდა გამოსაშვებად კომპანიის ხელმძღვანელობის მიერ 2020 წლის 30 აპრილს.

გვინდა ყურადღება გავამახვილოთ, კორონავირუსის პანდემიის შედეგად მიღებულ ეკონომიკური საქმიანობის ამჟამინდელ შენელებაზე და მის ფინანსურ ზემოქმედებაზე კომპანიის სამომავლო პერსპექტივების მიმართ.

სს არდი დაზღვევა

ფინანსური ანგარიშგება 2019 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის

ქართულ ლარში

განმარტებითი შენიშვნები (გაგრძელება)

კორონავირუსის პანდემიამ მთელ მსოფლიოში მნიშვნელოვანი გავლენა მოახდინა ადამიანის ცხოვრებაზე, რაც ხელს უშლის ლოგისტიკური ჯაჭვების წარმოქმნასა და ამცირებს საგარეო და საშინაო მოთხოვნას. ამასთანავე იზრდება რისკის შეუფასებლობა და გაურკვევლობა მომავლის შესახებ. იმის გათვალისწინებით, რომ ბოლოდროინდელი საშინაო და გლობალური მოვლენები ვირუსის შედეგად არის გამოწვეული, ჩვენ დროულად განვიხილეთ და გადავხედეთ ჩვენი ორგანიზაციის სამომავლო რისკებს. დღეისათვის, ამ კრიზისის გავლენა ადგილობრივ ინდუსტრიასა და ზოგადად ქვეყნის ეკონომიკაზე, რჩება ბუნდოვანი. შესაბამისად, ფინანსური და საოპერაციო საქმიანობა კომპანიის სამომავლო პერსპექტივაზე ამჟამად ვერ განისაზღვრება.



სახელმწიფო
აუდიტის
სამსახური

სს „არდი დაზღვევა“

მართვებობითი ანგარიშგება

აუდიტორის მოსაზრებასთან ერთად

2019 წელი



სარჩევი

აუდიტორის მოსაზრება საკანონმდებლო მოთხოვნებთან შესაბამისობაზე.....	3
მისია	4
ძირითადი პრინციპები	4
ამოცანები	5
კომპანიის შესახებ	5
რას ვსაქმიანობთ	6
კორპორაციული მართვა	6
კომპანიის მიერ შემუშავებული	
შიდა პროცედურები (დოკუმენტირებული).....	7
უკანონო შემოსავლების ლეგალიზაციის აღკვეთისა და	
ფულის გათეთრების წინააღმდეგ ბრძოლის პოლიტიკა	8
შედეგები.....	8
განვითარების გეგმები	9
წარმოებული კვლევებისა და მისი განვითარების მიმოხილვა	9
ინფორმაცია სუბიექტის ფილიალების საქმიანობის შესახებ	9
საკრედიტო, საბაზრო, ლიკვიდობის და ფულადი ნაკადების რისკების	
მიმოხილვა და ინფორმაცია ამ რისკების მართვის მექანიზმის შესახებ	10
ინფორმაცია ფინანსური რისკების მართვასთან დაკავშირებით	13

დამოუკიდებელი აუდიტორის მოსაზრება საკანონმდებლო მოთხოვნებთან შესაბამისობაზე

სს „არდი დაზღვევის“ მფლობელებს და ხელმძღვანელობას

ჩვენ ჩავატარეთ თანდართული 2019 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წილით საანგარიშგებო პერიოდის მმართველობით ანგარიშის მიმოხილვა, რომელიც მომზადებულია ბუღალტრული აღრიცხვის ანგარიშების და აუდიტის შესახებ კანონის მე-7 მუხლის მე-6 პუნქტის მოთხოვნების შესაბამისად (შემდგომში - „საკანონმდებლო მოთხოვნები“).

მმართველობითი ანგარიშის მომზადებასა და მის შესაბამისობაზე საკანონმდებლო მოთხოვნებთან პასუხისმგებელია კომპანიის მენეჯმენტი, ასევე შიდა კონტროლზე, რომელსაც იგი აუცილებლად მიიჩნევს ისეთი მმართველობითი ანგარიშგების მოსამზადებლად, რომელიც არ შეიცავს თაღლითობით ან შეცდომით გამოწვეულ არსებით უზუსტობას.

ჩვენი პასუხისმგებლობაა მიმოვიხილოთ მმართველობითი ანგარიში და გამოვთქვათ მოსაზრება რამდენად შესაბამისობაშია მმართველობითი ანგარიში საკანონმდებლო მოთხოვნებთან და რამდენად თანხვედრილია 2019 წლის 31 დეკემბრით მომზადებულ ფინანსურ ანგარიშგებასთან. იმ შემთხვევაში თუ მმართველობითი ანგარიში არ არის შესაბამისობაში საკანონმდებლო მოთხოვნებთან და თანხვედრილი ფინანსურ ანგარიშგებასთან ჩვენი პასუხისმგებლობაა, რომ განვაცხადოთ ამის შესახებ გამოცემულ დასკვნაში. ჩვენს მიერ შესრულებული სამუშაო შემოიფარგლება მხოლოდ: კომპანიის ხელმძღვანელობის და პერსონალის გამოკითხვით, ანალიტიკური პროცედურების ჩატარებით, მმართველობითი და ფინანსური ანგარიშის შედარებით და თანხვედრილობის განსაზღვრით, და იმ დოკუმენტების მიმოხილვით რაც მომზადდა იმისთვის, რომ კომპანია ყოფილიყო შესაბამისობაში საკანონმდებლო მოთხოვნებთან. ჩვენ არ განგვიხორციელება რაიმე სახის მმართველობითი ანგარიშის მოსამზადებლად დანერგილი კონტროლის სისტემის სპეციალური მიმოხილვა, და არ გამოვთქვამთ რაიმე სახის მოსაზრებას მმართველობითი ანგარიშის მოსამზადებლად დანერგილი შიდა კონტროლის ეფექტიანობაზე.

ჩვენი ჩატარებული მიმოხილვის საფუძველზე, ჩვენი ყურადღება არ მიუქცევია ფაქტებს რაც დაგვარწმუნებდა, რომ მმართველობითი ანგარიში არ არის თანხვედრილი აუდიტირებულ ფინანსურ ანგარიშგებასთან ან არ არის შესაბამისი ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგების და აუდიტის საქართველოს კანონის მე-7 მუხლის მე-6 პუნქტის მოთხოვნებთან ყველა არსებითი ასპექტის გათვალისწინებით 2019 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით.

შპს „არესემ საქართველო“

მმართველი პარტნიორი: გიორგი კვინიკაძე

2020 წლის 30 სექტემბერი



მისია

სს არდი დაზღვევის მისიაა აგრძნობინოს ადამიანებს, რომ ისინი დაცულნი არიან გაუთვალისწინებელი შემთხვევებისაგან, რათა მეტი პოზიტივი შეიტანოს მათ ცხოვრებაში; ანუ არდი დაზღვევა არის ადგილი, სადაც მხოლოდ კარგზე ფიქრობ!

ძირითადი პრინციპები

- ▶ კომპანია უზრუნველყოფს სადაზღვევო მომსახურებას და მართებულად ახორციელებს მასზე დაკისრებულ მოვალეობებს;
- ▶ კომპანია იყენებს საერთაშორისოდ აღირებულ მიდგომებსა და მეთოდებს ყოველდღიურ საქმიანობაში;
- ▶ კომპანია ითვალისწინებს სადაზღვევო ბაზრის გამოწვევებს და ინტენსიურად მუშაობს მომსახურების ხარისხის გაუმჯობესებაზე, ამასთანავე ახალი სადაზღვევო პროდუქტების შექმნასა და რეალიზაციაზე;
- ▶ კომპანიას რამოდენიმე წლიანი ურთიერთობა აქვს კლიენტების დიდ ნაწილთან;
- ▶ კომპანიისათვის ძალზე მნიშვნელოვანია არსებული კლიენტების შენარჩუნება, მათთვის ახალი მომსახურებისა და მაქსიმალური კომფორტის შეთავაზება;
- ▶ კომპანიის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი მიმართულებაა თანამშრომელთა კვალიფიკაციის მუდმივი ამაღლება შესაბამისი ტრენინგებისა და სხვადასხვა აქტივობების საშუალებით

აზროსაწიბი

- ▶ კომპანიის გრძელვადიანი სტრატეგიის განხორციელება სადაზღვევო ბაზრის განვითარებასთან და განახლებასთან მიმართებაში;
- ▶ კომპანიის განვითარება ახალი სადაზღვევო ინსტრუმენტებისა და ბაზრის ათვისების კუთხით

კომპანიის შესახებ

სს არდი დაზღვევა დაარსდა 2010 წელს 100% -იანი ქართული ინვესტიციით. კომპანია მომხმარებელს სადღეიდოდ ქართულ ბაზარზე არსებულ თითქმის ყველა სადაზღვევო პროდუქტს სთავაზობს. კომპანიის მთავარი მიზანია მომხმარებლისათვის მაღალი დონის მომსახურების შეთავაზება, რაც მაქსიმალურად მორგებულია მათ კომფორტზე; კომპანიაში მუდმივად ხდება მომსახურების გაუმჯობესება, კერძოდ,

მიმდინარეობს ელექტრონული პლატფორმის დანერგვა, რაც არდის კლიენტების დროისა და ენერგიის დაზოგვისკენაა მიმართული.



რას ვსაქმიანობთ

სს არდი დაზღვევა მომხმარებლებს სთავაზობს შემდეგ ძირითად პროდუქტებს:

- ▶ ჯანმრთელობის დაზღვევა;
- ▶ ავტომობილის დაზღვევა (კერძო და კორპორაციული);
- ▶ ავტომობილ ტრანსპორტის მფლობელთა დაზღვევა მესამე პირის წინაშე;
- ▶ მძღოლის, მგზავრების ან ეკიპაჟის დაზღვევა უბედური შემთხვევებისაგან;
- ▶ სახმელეთო გადამზიდველის პასუხისმგებლობის დაზღვევა: საერთაშორისო ექსპედიტორის პასუხისმგებლობის დაზღვევა; კონტეინერების დაზღვევა;
- ▶ ტვირთის დაზღვევა
- ▶ ქონების დაზღვევა;
- ▶ სამოგზაურო დაზღვევა;
- ▶ აგროდაზღვევა;
- ▶ პროფესიული პასუხისმგებლობის დაზღვევა;
- ▶ ვალდებულებათა შესრულების (ფინანსური გარანტიები) დაზღვევა;
- ▶ სხვადასხვა

კორპორაციული მართვა

კომპანიის მმართველობის სტრუქტურა სააქციო საზოგადოებად ჩამოყალიბების შემდეგ დაიხვეწა და მორგებული გახდა თანამედროვე კორპორაციისათვის. სს არდი დაზღვევაში მოქმედებს სამეთვალყურეო საბჭო და დირექტორთა საბჭო, რომლებიც შესაბამისად იღებენ გადაწყვეტილებებს და ახდენენ ყოველდღიური საქმიანობის მონიტორინგს. შეიძლება ითქვას, რომ კომპანიაში მოქმედებს როგორც ვერტიკალური, ასევე ჰორიზონტალური მმართველობის სტილი შესაბამისი რგოლებისა და საქმიანობის ტიპისათვის.

კორპორაციული მმართველობის განუყოფელი ნაწილი გახდა შიდა კონტროლი, რომლის მიზნებისათვის

შეიქმნა შიდა აუდიტის სამსახური, რომელიც პირდაპირ დაქვემდებრებაშია სამეთვალყურეო საბჭოსთან. ანგარიშგება მიმდინარეობს კვარტალურად, თუმცა საკითხის აქტუალობიდან გამომდინარე შესაძლებელია ეს ვადა ერთ თვემდეც შემცირდეს.



სს არდის მოთხოვნებისა და კომპანიის გაფართოებიდან გამომდინარე გასული წლიდან ინერგება ე.წ. შიდა პროცედურების გაწერის პოლიტიკა; ამ ეტაპისათვის დამუშავებულია პოლისის გაცემის, პროდუქტის რენტაბელობის დაანგარიშების, მომხმარებელთა უფლებების დაცვის, საფინანსო რისკების დაზღვევისათვის საჭირო ანგარიშგებებისა და გადაწყვეტილების მიღების პროცედურები.

კომპანიაში ყოველი სამსახურისათვის ყალიბდება პროცედურული დოკუმენტაცია, რომელიც მოიცავს ამ სამსახურის ფუნქცია მოვალეობებს, ანგარიშგების ფორმებსა და ვადებს.

კომპანიის შიდა შემუშავებული შიდა პროცედურები (დოკუმენტირებული)

- ▶ პერსონალურ მონაცემთა დაცვის პოლიტიკა
- ▶ დოკუმენტში გაწერილია კომპანიის პერსონალური მონაცემების შესახებ საქართველოს კანონისა და საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისი აუცილებელი პროცედურა, რომელიც გადაცემული აქვს კომპანიის ყველა რგოლს სახემდღავანელოდ. კომპანიის პროგრამულ სოფტში დაწესებულია შესაბამისი შეზღუდვები მონაცემებთან წვდომაზე, დანერგილია ავტორიზაციის პროცედურა და დონეები.
- ▶ მომხმარებელთა უფლებების დაცვის პოლიტიკა
- ▶ კომპანიაში საქართველოს დაზღვევის სახელმწიფო ზედამხედველობის სამსახურის რეკომენდაციის შესაბამისად შემუშავდა ინსტრუქცია მომხმარებელთა უფლებების დაცვის შესახებ. ინსტრუქციის მოხონებიდან გამომდინარე, ყოველ სადაზღვევო ხელშეკრულებაში არსებობს პუნქტი, რომელიც ეხება სადაო საკითხების გადაჭრას, პრეტენზიის წამოყენების ვადას და ყველა იმ ეტაპს, რომელსაც გაივლის კომპანია მომხმარებლის პრეტენზიის დასაკმაყოფილებლად/უარსაყოფად.
- ▶ სადაზღვევო პოლისის გაცემის პროცედურა
- ▶ კომპანიაში შემუშავდა პოლისის გაცემის აღმწერი დოკუმენტი, რომლის მიხედვითაც გაწერილია სადაზღვევო პოლისის გაცემის თანმიმდევრობა და პირის იდენტიფიცირებისათვის აუცილებელია დოკუმენტაციის ნუსხა. დოკუმენტი დამტკიცებულია მენეჯმენტის მიერ და ხდება მისი ამოქმედება დაზღვევის ნებისმიერი სახეობისათვის.



საქონ
საქონის
და
საქონის

უკანონო შემოსავლების ლეგალიზაციის აღკვეთისა და ფულის გათეთრების წინააღმდეგ ბრძოლის პოლიტიკა

2017 წელს კომპანია შემოწმებული იქნა დაზღვევის ზედამხედველობის სამსახურის შესაბამისი დეპარტამენტის მიერ. სს არდი დაზღვევამ მიიღო წერილობითი რეკომენდაციები, რაც ძირითადად შეეხებოდა პირის იდენტიფიკაციისათვის საჭირო პროცედურების გაუმჯობესებას. კომპანიაში შეიქმნა სპეციალური დანაყოფი, რომელიც მუშაობს ზემოაღნიშნული რეკომენდაციების შესაბამისი პროცედურის დანერგვაზე. ამ პროცედურის საბოლოო მიზანია სს არდი დაზღვევაში დაამკვიდროს საქართველოს კანონისა და

საუკეთესო საერთაშორისო გამოცდილების შესაბამისი პროცესი, რომელიც უზრუნველყოფს ფიზიკური თუ იურიდიული პირის იდენტიფიცირებას, საექვო გარიგებების მონიტორინგსა და შესაბამის რეპორტირებას, მონაცემების სისტემატიზაციას შესაბამის პროგრამულ უზრუნველყოფაში და ზოგადად ზემოთ მოყვანილი კანონის მოთხოვნების განუხრელ დაცვას.

სს არდი დაზღვევისათვის ერთ-ერთი მთავარი გამოწვევა ქვეყნის მაკროეკონომიკური მდგრადობა და ვალუტის კურსის ცვლილებებია. ბუნებრივია, რომ არასტაბილურ გარემოში მცირდება მომხმარებლის გადახდისუნარიანობა, რაც თავის მხრივ უარყოფითად აისახება სადაზღვევო ბაზარზე. ამასთანავე კომპანიას გარკვეული ვალდებულებების გასტუმრება (მაგალითად გადაზღვევა) უხდება უცხოურ ვალუტაში, რაც მოსალოდნელია რომ სერიოზული ზარალის წყარო გახდეს.

შედეგები

მიმდინარე წლების განმავლობაში კომპანია გავიდა შემდეგ ძირითად მაჩვენებლებზე;

მოზიდული პრემია ნეტო	43 664 070 ლ
გამომუშავებულ პრემია ნეტო	40 361 864 ლ
დამდგარი ზარალი	32 448 707 ლ
წმინდა მოგება	2 225 665 ლ

კომპანიამ გაუმჯობესებულ შედეგებს მიაღწია ადამიანური რესურსების მართებულად გამოყენებითა და თანამშრომელთა მოტივაციის გაუმჯობესების გზით, რაშიც მთავარს როლს შესაბამისი ბონუსების სისტემა და სხვადასხვა აქტივობების განხორციელება თამაშობს



განვითარების გზაგაზი

სს არდი დაზღვევა მუდმივად ანახლებს მომსახურების სქემას, რაც დადებითად აისახება მომხმარებლის კმაყოფილებაზე; ინერგება ინოვაციური შეთავაზებები,

როდუქტების გაყიდვა ელექტრონულად, ელექტრონული ხელმოწერის პროცედურის ნერგვა, რამაც დადებითი გავლება უნდა მოახდინოს მომსახურების ხარისხზე. კომპანიაში სპეციალური მიმართულებაა ახალი სადაზღვევო პროდუქტებისა და

მომსახურების შექმნა, რაც თავის მხრივ ბაზრის წილი გაფართოებასა და კომპანიის რენტაბელობაზე დადებითად უნდა აისახოს.

წარმოებული კვლევებისა და მისი განვითარების მიმოხილვა:•

► კომპანიას მიმდინარე წელს ბაზრის კვლევები არ უწარმოებია, თუმცა მომავალ წელს დაგეგმილია მასშტაბური კვლევები.

ინფორმაცია სუბიექტის ფილიალების საქმიანობის შესახებ:•

► კომპანიას ფილიალები გააჩნია თბილისში, რუსთავში, თელავში, ბათუმში, ფოთში, ქუთაისსა და გორში.



ბაიონ
BAYON
სადაზღვევო კომპანია

საკრედიტო, საბაზრო, ლიკვიდობის და ფულადი ნაკადების რისკების მიმოხილვა და ინფორმაცია ამ რისკების მართვის მექანიზმის შესახებ:

საოპერაციო, საინვესტიციო და საფინანსო საქმიანობების განხორციელებისას, კომპანია ექვემდებარება შემდეგ ფინანსურ რისკებს:

- საკრედიტო რისკი: ალბათობა, რომ მსესხებელი ვერ შეძლებს გადაიხადოს მთლიანი სესხი ან მისი ნაწილი, ან ვერ შეძლებს სესხის დროულად დაფარვას, რაც გამოიწვევს ზარალს კომპანიისთვის;
- ლიკვიდურობის რისკი: რისკი რომ კომპანიას არ ექნება, ან ვერ ამოიღებს ნაღდ ფულს საჭირო დროს და ამის შედეგად აღმოჩნდება სირთულეების წინაშე ფინანსურ ვალდებულებებთან დაკავშირებული მოვალეობების შესრულების თვალსაზრისით;
- საბაზრო რისკი: რისკი, რომ საბაზრო ფასების ცვალებადობის შედეგად შეიცვლება ფინანსური ინსტრუმენტის ღირებულება ან ფულადი სახსრების მომავალი ნაკადები სამართლიანი ღირებულების თვალსაზრისით. კომპანია ექვემდებარება მხოლოდ სავალუტო რისკს საბაზრო რისკის ძირითადი სამი კომპონენტიდან.

აღნიშნული რისკების ეფექტური მართვისთვის, კომპანია ეყრდნობა შემდეგ ძირითად პრინციპებს:

- საპროცენტო განაკვეთის, სავალუტო და საფასო რისკების მინიმიზაცია ყველა სახის ტრანზაქციებზე;
- „ბუნებრივი ჰეჯირების“ მაქსიმალური გამოყენება შემოსავლების და ხარჯების, მოთხოვნების და ვალდებულებების ერთ ვალუტაში დენომინირების მცდელობით. ანალოგიური სტრატეგია გამოიყენება საპროცენტო განაკვეთის რისკთან მიმართებაში;
- ფინანსური რისკების მართვის ღონისძიებები ხორციელდება გონივრულად და თანმიმდევრულად, ბაზრის საუკეთესო პრაქტიკის შესაბამისად.

ქვემოთ წარმოდგენილია კომპანიის ფინანსური აქტივები და ვალდებულებები:

ფინანსური აქტივები	2019	2018
ფული და ფულის ექვივალენტები	1,356,756	1,805,996
მოთხოვნები საკრედიტო დაწესებულებების მიმართ	6,601,895	5,425,131
სადაზღვევო პრემიის წმინდა მოთხოვნა (გ/შ 19)	19,605,563	16,766,376
მოთხოვნა გადამზღვევლების მიმართ	8,795,133	4,561,883
წმინდა მოთხოვნა რეგრესიდან (გ/შ 19 და 22)	1,903,002	1,255,931
წმინდა გაცემული სესხები (გ/შ 18)	2,391,532	2,703,048
31 დეკემბრის მდგომარეობით	40,653,881	32,518,365



ფინანსური ვალდებულებები	2019	2018
წმინდა სადაზღვევო ზარალები (წმინდა RBNS და IBNR, გ/შ 17)	5,272,430	4,973,192
სხვა სადაზღვევო ვალდებულებები (გ/შ 22)	6,859,864	4,875,922
მიღებული სესხები	3,361,424	2,448,794
სავაჭრო და სხვა მოთხოვნები	1,508,961	1,186,045
მიმდინარე მოგების გადასახადის ვალდებულება	248,395	475,833
31 დეკემბრის მდგომარეობით	17,251,074	13,959,786

საკრედიტო რისკი

კომპანია აკონტროლებს საკრედიტო რისკს მხოლოდ სანდო კონტრაგენტებთან ურთიერთობით. არ არსებობს საკრედიტო რისკის მნიშვნელოვანი კონცენტრაცია.

კომპანიის მაქსიმალური საკრედიტო რისკი:

	2019	2018
მოთხოვნები ბანკების მიმართ (გ/შ 20)	7,908,306	7,197,916
სადაზღვევო პრემიის ვადადამდგარი წმინდა მოთხოვნა (გ/შ 19)	19,605,563	16,766,376
მოთხოვნა გადამზღვევლების მიმართ	8,795,133	4,561,883
წმინდა მოთხოვნა რეგრესიდან (გ/შ 19 და 22)	1,903,002	1,255,931
წმინდა გაცემული სესხები (გ/შ 18)	2,391,532	2,703,048
31 დეკემბრის მდგომარეობით	40,603,536	32,485,154

სადაზღვევო პრემიის ვადადამდგარი მოთხოვნის ვადიანობის ანალიზი:

31 დღეზე ნაკლები	17,132,152	12,860,115
31-90 შორის	1,084,172	1,334,902
91-180 შორის	768,263	409,121
181-365 შორის	914,110	1,341,278
365 დღეზე მეტი	2,518,219	3,528,807
გაუფასურების რეზერვი	(2,811,353)	(2,707,847)
ნაშთი 31 დეკემბრის მდგომარეობით	19,605,563	16,766,376

ლიკვიდურობის რისკი - ფინანსური ვალდებულებების ვადიანობის ანალიზი

კომპანია მართავს ლიკვიდურობის რისკს მოსალოდნელი გადახდის ვადების საფუძველზე.

ქვემოთ წარმოდგენილია ფინანსური ვალდებულებები დარჩენილი საკონტრაქტო ვადების მიხედვით (საკონტრაქტო და არადისკონტირებული ფულადი ნაკადები).



	1 წელზე ნაკლები	1-დან 5 წლამდე	5 წელზე მეტი	სულ
წმინდა RBNS და IBNR (გ/შ 17)	5,272,430	-	-	5,272,430
სხვა სადაზღვევო ვალდებულებები (გ/შ 22)	6,859,864	-	-	6,859,864
მიღებული სესხები და საიჯარო ვალდებულებები	3,009,356	352,068	-	3,361,424
სავაჭრო და სხვა მოთხოვნები	1,508,961	-	-	1,508,961
მიმდინარე მოგების გადასახადის ვალდებულება	248,395	-	-	248,395
ნაშთი 2019 წლის 31 დეკემბერს	17,251,074	-	-	17,251,074
წმინდა RBNS და IBNR (გ/შ 17)	3,906,549	1,051,840	14,803	4,973,192
სხვა სადაზღვევო ვალდებულებები (გ/შ 22)	4,499,066	376,856	-	4,875,922
მიღებული სესხები და საიჯარო ვალდებულებები	1,306,341	1,142,453	-	2,448,794
სავაჭრო და სხვა მოთხოვნები	1,186,045	-	-	1,186,045
მიმდინარე მოგების გადასახადის ვალდებულება	475,833	-	-	475,833
ნაშთი 2018 წლის 31 დეკემბერს, კორექტ.	12,340,372	1,619,414	-	13,959,786

ამჟამად კომპანია თვლის, რომ გადაიხდის ყველა ვალდებულებას საკონტრაქტო ვადაში.
ამისათვის კომპანია ელოდება საკმარის ფულად ნაკადებს საოპერაციო საქმიანობიდან.

საგარანტიო კონტრაქტები არის სათანადოდ უზრუნველყოფილი.

სავალუტო რისკი

უცხოურ ვალუტაში დენომინირებული აქტივები და ვალდებულებები იწვევენ სავალუტო რისკს.
კომპანიას არ აქვს ფორმალური პროცედურები სავალუტო რისკის მართვასთან მიმართებაში, თუმცა
ხელმძღვანელობა საკუთარ თავს მიიჩნევს კარგად ინფორმირებულად ეკონომიკაში მიმდინარე
მოვლენების შესახებ და მათ გადადგეს გარკვეული ნაბიჯები სავალუტო რისკის შესამცირებლად.

ფინანსური აქტივები ვალუტის მიხედვით:

	ლ	USD	EUR	სულ
ფული და ფულის ექვივალენტები	910,103	446,653	-	1,356,756
მოთხოვნები საკრედიტო დაწესებულებებისადმი	2,295,088	4,306,807	-	6,601,895
ვადადამდგარი სადაზღვევო პრემიის მოთხოვნა	3,458,986	3,645,421	86,145	7,190,552
ნაშთი 2019 წლის 31 დეკემბერს	6,664,177	8,398,881	86,145	15,149,203
ფული და ფულის ექვივალენტები	1,768,063	37,612	321	1,805,996
მოთხოვნები საკრედიტო დაწესებულებებისადმი	2,230,148	3,194,983	-	5,425,131
ვადადამდგარი სადაზღვევო პრემიის მოთხოვნა	3,969,250	4,028,489	77,781	8,075,520
ნაშთი 2018 წლის 31 დეკემბერს	7,967,461	7,261,084	78,102	15,306,647



ფინანსური ვალდებულებები ვალუტის მიხედვით:

	ლ	USD	EUR	სულ
მიღებული სესხები	688,710	34,558	1,762,657	2,485,925
საიჯარო ვალდებულებები	140,568	734,931		875,499
ნაშთი 2019 წლის 31 დეკემბერს	829,278	769,489	1,762,657	3,361,424
მიღებული სესხები	732,962	1,715,832	-	2,448,794
ნაშთი 2018 წლის 31 დეკემბერს	732,962	1,715,832	-	2,448,794

ინფორმაცია ფინანსური რისკების მართვასთან დაკავშირებით:„

► კომპანიის მიერ განხორციელებული ძირითადი სადაზღვევო საქმიანობა უკავშირდება ზარალების რისკის შეფასებას, რომელიც შეიძლება მომდინარეობდეს ფიზიკური პირებისგან ან ორგანიზაციებისგან. ასეთი რისკები უკავშირდება ქონებას, ვალდებულებების შესრულებას, უბედურ შემთხვევას, ჯანმრთელობას, ტვირთს ან სხვა საფრთხეებს, რომლებიც შეიძლება წარმოიშვას სადაზღვევო შემთხვევისგან. კომპანიისთვის მთავარი რისკი არის ზარალების ისეთი სიხშირე და სიმძიმე, რომელიც მოსალოდნელს აღემატება. მათი ზუსტად განსაზღვრა შეუძლებელია სადაზღვევო შემთხვევების თვისობრიობიდან გამომდინარე. ნებისმიერი ერთი წლის განმავლობაში შემთხვევების რეალური რიცხვი და ზომა შეიძლება განსხვავდებოდეს სტატისტიკური ტექნიკური საშუალებებით დადგენილი რიცხვისა და ზომისგან.

რისკის მართვის ორი მთავარი მეთოდი არსებობს. პირველი, რისკის მართვა ხდება შესაბამისი ანდერაიტინგის კუთხით. დაუშვებელია ანდერაიტერმა დაამუშაოს რისკი, თუ მოგება არ იქნება რისკის შესაბამისი. მეორე მეთოდი კი არის გადაზღვევა. კომპანია მისი საქმიანობის სახვადასხვა სახეობისთვის ყიდულობს გადაზღვევის უზრუნველყოფას. ის აფასებს გადაზღვევის პროგრამასთან დაკავშირებულ ხარჯებს და სარგებელს მიმდინარე რეჟიმში. ანდერაიტინგული სტრატეგია მდგომარეობს იმაში, რომ მოახდინოს პორტფელის დივერსიფიკაცია ისე, რომ იგი ყოველთვის შეიცავდეს სხვადასხვა სახეობის




არაურთიერთდაკავშირებულ რისკებს და ამავე დროს ყველა სახეობის რისკი გადანაწილებული იყოს პოლისების დიდ რაოდენობაზე. მენეჯმენტის რწმენით, ეს მიდგომა ამცირებს შედეგების ცვალებადობას. ანდერაიტინგული სტრატეგია განსაზღვრულია ბიზნეს გეგმაში, რომელიც ადგენს, რომ ბიზნესის კლასები და ქვე-კლასები გაწერილი უნდა იყოს. სტრატეგია ხორციელდება ანდერაიტინგის გაიდლაინების გამოყენებით, რომლებიც განსაზღვრავენ ანდერაიტინგის დეტალურ წესებს თითოეული პროდუქტისთვის. გაიდლაინები შეიცავენ სადაზღვევო კონცეფციას და პროცედურებს, აღებული რისკის განმარტებებს, ვადებს და პირობებს, უფლებებს და ვალდებულებებს, დოკუმენტაციის მოთხოვნებს, ხელშეკრულების შაბლონებს და პოლისების ნიმუშებს, ტარიფების შესახებ განმარტებებს და სხვა ფაქტორებს, რომლებიც იმოქმედებენ შესაბამის ტარიფებზე. ტარიფების გამოთვლა ეფუძნება ალბათობას და ცვალებადობას. ანდერაიტინგული გაიდლაინების მოთხოვნების შესრულებას ზედამხედველობას კომპანიის მენეჯმენტი ოპერატიულ რეჟიმში უწევს.

რისკების მართვის პოლიტიკის მიზანია იმ რისკების იდენტიფიცირება, ანალიზი და მართვა, რომლების წინაშეც დგას კომპანია, ასევე რისკის დონეების მუდმივი მონიტორინგი და ზღვრების დაცვა. რისკების მართვის პოლიტიკა და პროცედურები რეგულარულად განიხილება ბაზრის პირობებში, პროდუქტებსა და შეთავაზებულ მომსახურებებში ცვლილებების ასახვისა და საუკეთესო პრაქტიკების გათვალისწინების მიზნით. ტრენინგების, მართვის სტანდარტებისა და პროცედურების გამოყენების გზით, კომპანიის მიზანს წარმოადგენს ისეთი დისციპლინირებული და კონსტრუქციული კონტროლის გარემოს შექმნა, რომელშიც ყველა თანამშრომელს ესმის თავისი ფუნქცია და ვალდებულება.

მმართველობის ანგარიშგება მომზადებული 2019 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, ხელმძღვანელობის მიერ დამტკიცდა

გამოსაშვებად 2020 წლის 30 სექტემბერს.

დირექტორი



ბესიკ ნათენაძე

ხელმძღვანელობის პასუხისმგებლობის ანგარიში ფინანსური ანგარიშგების მომზადებასა და დამტკიცებაზე 2019 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის

ხელმძღვანელობა პასუხისმგებელია ფინანსური ანგარიშგების მომზადებაზე, რომელიც სამართლიანად ასახავს სააქციო საზოგადოება „არდი დაზღვევის“ (შემდგომში „კომპანია“) ფინანსურ მდგომარეობას 2019 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, მის მიერ წარმოებული ოპერაციების შედეგებს, ფულადი სახსრების მოძრაობასა და კაპიტალში ცვლილებებს ამავე თარიღით დასრულებული წლისთვის, ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების („IFRS“) შესაბამისად.

ფინანსური ანგარიშგების მომზადებისას ხელმძღვანელობა პასუხისმგებელია:

- მართებული ბუღალტრული პრინციპების არჩევისა და მათ თანმიმდევრულ გამოყენებაზე;
- გონივრულ მსჯელობაზე და შეფასებებზე;
- განცხადებაზე, არის თუ არა ფინანსური ანგარიშგება მომზადებული IFRS-ის მიხედვით და მნიშვნელოვანი გადახრები IFRS-დან წარმოდგენილი და ახსნილი;
- ფინანსური ანგარიშგების მომზადებაზე ფუნქციონირებადი საწარმოს პრინციპის დაცვით თუ შეუსაბამო არაა ვარაუდი, რომ პროგნოზირებად მომავალში კომპანიის ბიზნესის ფუნქციონირებას საფრთხე არ ემუქრება.

ხელმძღვანელობა აგრეთვე პასუხისმგებელია:

- კომპანიაში ეფექტიანი შიდა კონტროლის სისტემის შემუშავებაზე, დანერგვასა და შენარჩუნებაზე;
- ისეთი ბუღალტრული ჩანაწერების წარმოებაზე, რომელიც ნებისმიერ დროს, გონივრული სიზუსტით წარმოადგენს კომპანიის ფინანსურ მდგომარეობას და იძლევა რწმუნებას, რომ კომპანიის ფინანსური ანგარიშგება შესაბამისაა IFRS-ის მოთხოვნებს;
- სავალდებულო ბუღალტრული ჩანაწერების წარმოებაზე საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად;
- კომპანიის აქტივების უსაფრთხოების უზრუნველსაყოფად საჭირო ქმედებების განხორციელებაზე;
- თაღლითობისა და სხვა დარღვევების აღმოჩენასა და თავიდან აცილებაზე.

ფინანსური ანგარიშგება მომზადებული 2019 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, ხელმძღვანელობის მიერ დამტკიცდა გამოსაშვებად 2020 წლის 30 აპრილი:



ბესიკ ნათუნაძე
დირექტორი



თამარ კლობილაშვილი
მთავარი ბუღალტერი

RSM Georgia

85, Z.Paliashvili str
Tbilisi 0162, GeorgiaT +995 (32) 255 88 99
F +995 (32) 255 88 99

www.rsm.ge

დამოუკიდებელი აუდიტორის დასკვნა

მოსაზრება

ჩვენ ჩავატარეთ სს „არდი დაზღვევის“ (შემდგომში „სადაზღვევო კომპანია“) თანდართული კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების აუდიტი (შემდგომში „ფინანსური ანგარიშგება“), რომელიც მოიცავს ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებას 2019 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, აგრეთვე, სრული შემოსავლების, კაპიტალში ცვლილებებისა და ფულადი სახსრების მოძრაობის ანგარიშგებებს აღნიშნული თარიღით დასრულებული წლისათვის, ასევე ბუღალტრული აღრიცხვის პოლიტიკის ძირითად პრინციპებსა და სხვა განმარტებით შენიშვნებს.

ჩვენი აზრით, თანდართული კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგება, ყველა არსებითი ასპექტის გათვალისწინებით, სამართლიანად ასახავს კომპანიის ფინანსურ მდგომარეობას 2019 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, მის ფინანსურ საქმიანობასა და ფულის მოძრაობას ამავე თარიღით დასრულებული წლისათვის ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისად.

მოსაზრების საფუძველი

ჩვენ ჩავატარეთ აუდიტი საერთაშორისო სტანდარტების (ასს-ების) შესაბამისად. ამ სტანდარტებით განსაზღვრული ჩვენი პასუხისმგებლობები დეტალურად აღწერილია ჩვენი დასკვნის „აუდიტორის პასუხისმგებლობა ფინანსური ანგარიშგების აუდიტზე“ ნაწილში. ჩვენ დამოუკიდებელი ვართ კომპანიისგან ბუღალტერთა ეთიკის საერთაშორისო სტანდარტების საბჭოს (ბესსს) „პროფესიონალი ბუღალტრების ეთიკის კოდექსის“ ნორმების შესაბამისად, რომლებიც ეხება ჩვენ მიერ ჩატარებულ ფინანსური ანგარიშგების აუდიტს, გარდა ამისა, შევასრულეთ ბესსს-ის ეთიკის კოდექსით გათვალისწინებული სხვა ეთიკური ვალდებულებებიც. ჩვენ ვთვლით, რომ ჩვენ მიერ მოპოვებული აუდიტორული მტკიცებულებები საკმარისი და შესაფერისია ჩვენი მოსაზრების გამოთქმისთვის აუცილებელი საფუძვლის შესაქმნელად.

აუდიტორის პასუხისმგებლობა სხვა ინფორმაციასთან დაკავშირებით

ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგების და აუდიტის შესახებ საქართველოს კანონის მე-7 მუხლის მე-10 პუნქტის შესაბამისად „სდპ და პირველი და მეორე კატეგორიების სანარმოები ვალდებული არიან, მმართველობის ანგარიში მიაწოდონ აუდიტორს/აუდიტორულ ფირმას. აუდიტორი/აუდიტორული ფირმა გამოთქვამს თავის მოსაზრებას ამ მუხლის მე-6 პუნქტისა და მე-7 პუნქტის „გ“ და „ზ“ ქვეპუნქტების მიხედვით მმართველობით ანგარიშზე. მენეჯმენტი პასუხისმგებელია მმართველობითი ანგარიშის მომზადებაზე რომელიც ხელმისაწვდომი იქნება წარმოდგენილი აუდიტებული ფინანსური ანგარიშგების წარდგენის შემდეგ. ზემოთხსენებული კანონის მიხედვით მმართველობის ანგარიშგებაში წარმოდგენილი იქნება შემდეგი ინფორმაცია:

- სუბიექტის განვითარების გეგმები;
- სუბიექტის მიერ წარმოებული კვლევებისა და მისი განვითარების მიმოხილვა;
- სუბიექტის ფილიალების საქმიანობა;
- სუბიექტის საკრედიტო, საბაზრო, ლიკვიდობის და ფულადი ნაკადების რისკების მიმოხილვა და ინფორმაცია ამ რისკების მართვის მექანიზმების შესახებ;
- საკუთარი აქციების შეძენის შესახებ მოკლე ინფორმაცია;
- ფინანსური რისკების მართვასთან დაკავშირებით სუბიექტის მიზნები და პოლიტიკა;
- საჭიროების შემთხვევაში ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგების და აუდიტის შესახებ საქართველოს კანონთან შესაბამისობაში მყოფი სხვა ინფორმაცია

ჩვენ არ გამოვთქვავთ რაიმე ტიპის მოსაზრებას მმართველობით ანგარიშთან („სხვა ინფორმაცია“) დაკავშირებით. ფინანსური ანგარიშგების აუდიტთან მიმართებაში ჩვენი როგორც აუდიტორების პასუხისმგებლობა განსაზღვრულია მხოლოდ იმით რომ გავცნოთ სხვა ინფორმაციას და შევაფასოთ რამდენად არსებითად თანმიმდევრულია სხვა ინფორმაცია ფინანსურ ანგარიშგებასთან, საკანონმდებლო მოთხოვნებთან, და შესაბამისია იმ ფინანსური ანგარიშგების აუდიტის დროს მიღებულ ცოდნასთან.

სხვა გარემოებათა აბზაცი

ამ აუდიტორული დასკვნის ზემოთ მოცემულ „აუდიტორის პასუხისმგებლობა სხვა ინფორმაციასთან დაკავშირებით“ აბზაცსა და „ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგების და აუდიტის“ შესახებ საქართველოს კანონის შესაბამისად მმართველობის ანგარიში უნდა დაინეროს და წაკითხულ იქნეს წარმოდგენილ ფინანსურ ანგარიშგებასთან ერთად. მმართველობითი ანგარიში ხელმისაწვდომი იქნება ჩვენთვის აუდიტორული დასკვნის ხელმოწერის შემდეგ.

გამომდინარე იქიდან რომ ხელმოწერის თარიღები სხვადასხვა იქნება ამ ფინანსური ანგარიშგების და მმართველობითი ანგარიშის, და რაიმე მნიშვნელოვანი მოვლენებს ექნება ადგილი წარმოდგენილი ფინანსური ანგარიშგების ხელმოწერის შემდგომ - მმართველობის ანგარიშის გამოცემამდე, შედეგად მმართველობითი ანგარიში იქნება არსებითად განსხვავებული ამ ფინანსური ანგარიშგებისგან. მიუხედავად ამისა მსგავსი ტიპის მნიშვნელოვანი გარემოებები აღწერილი იქნება მმართველობის ანგარიშგების სპეციალურ აბზაცში

ხელმძღვანელობისა და მართვის უფლებამოსილებით აღჭურვილ პირთა პასუხისმგებლობა ფინანსურ ანგარიშგებაზე

ხელმძღვანელობა პასუხისმგებელია ფინანსური ანგარიშგების მომზადებასა და სამართლიან წარდგენაზე ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტის შესაბამისად, ასევე შიდა კონტროლზე, რომელსაც იგი აუცილებლად მიიჩნევს ისეთი ფინანსური ანგარიშგების მოსამზადებლად, რომელიც არ შეიცავს თაღლითობით ან შეცდომით გამოწვეულ არსებით უზუსტობას.

ფინანსური ანგარიშგების მომზადებისას ხელმძღვანელობას ევალება, შეაფასოს კომპანიის ფუნქციონირებადობის უნარი და, აუცილებლობის შემთხვევაში, ფინანსური ანგარიშგების შენიშვნებში განმარტოს საკითხები, რომლებიც დაკავშირებულია საწარმოს ფუნქციონირებადობასა და ანგარიშგების საფუძვლად საწარმოს ფუნქციონირებადობის პრინციპის გამოყენებასთან, იმ შემთხვევის გარდა, როდესაც ხელმძღვანელობას განზრახული აქვს კომპანიის ლიკვიდაცია ან საქმიანობის შეწყვეტა, ან თუ არა აქვს სხვა რეალური არჩევანი, ასე რომ არ მოიქცეს.

მართვის უფლებამოსილებით აღჭურვილი პირები პასუხისმგებლები არიან კომპანიის ფინანსური ანგარიშგების მომზადებისა და წარდგენის პროცესის ზედამხედველობაზე.

აუდიტორის პასუხისმგებლობა ფინანსური ანგარიშგების აუდიტზე

ჩვენი მიზანია, მოვიპოვოთ დასაბუთებული რწმუნება იმის თაობაზე, მოცემული ფინანსური ანგარიშგება შეიცავს თუ არა თაღლითობით ან შეცდომით გამოწვეულ არსებით უზუსტობას და შევადგინოთ აუდიტორის დასკვნა, რომელიც მოიცავს ჩვენს მოსაზრებას. დასაბუთებული რწმუნება მაღალი დონის რწმუნებაა, მაგრამ არ არის იმის გარანტია, რომ ასს-ების შესაბამისად ჩატარებული აუდიტი ყოველთვის გამოავლენს ნებისმიერ არსებით უზუსტობას, რომელიც არსებობს. უზუსტობები შეიძლება გამოწვეული იყოს თაღლითობით ან შეცდომით და არსებითად მიიჩნევა იმ შემთხვევაში, თუ გონივრულ ფარგლებში, მოსალოდნელია, რომ ისინი, ცალ-ცალკე ან ერთობლივად, გავლენას მოახდენს იმ მომხმარებლების ეკონომიკურ გადაწყვეტილებებზე, რომლებიც დაეყრდნობიან მოცემულ ფინანსურ ანგარიშგებას.

ასს-ების შესაბამისად აუდიტის ჩატარება ითვალისწინებს აუდიტორის მიერ პროფესიული განსჯის გამოყენებას და პროფესიული სკეპტიციზმის შენარჩუნებას აუდიტის პროცესში. გარდა ამისა, ჩვენ:

- ვადგენთ და ვაფასებთ თაღლითობით ან შეცდომით გამოწვეულ, ფინანსური ანგარიშგების არსებითი უზუსტობის რისკებს; ვგეგმავთ და ვატარებთ ამ რისკებზე რეაგირებისთვის გამიზნულ აუდიტორულ პროცედურებს და ვკრებთ ისეთ აუდიტორულ მტკიცებულებებს, რომლებიც საკმარისი და შესაფერისი იქნება ჩვენი მოსაზრების გამოთქმისთვის აუცილებელი საფუძვლის შესაქმნელად. რისკი იმისა, რომ ვერ გამოვლინდება თაღლითობით გამოწვეული არსებითი უზუსტობა უფრო მაღალია, ვიდრე რისკი იმისა, რომ ვერ გამოვლინდება შეცდომით გამოწვეული უზუსტობა, რადგან თაღლითობა შეიძლება გულსხმობდეს ფარულ შეთანხმებას, გაყალბებას, ოპერაციების განზრახ გამოტოვებას, აუდიტორისთვის წინასწარგანზრახულად არასწორი ინფორმაციის მიწოდებას ან შიდა კონტროლის იგნორირებას.
- ჩვენ შევისწავლით აუდიტისთვის შესაფერის შიდა კონტროლის საშუალებებს, რათა დავგეგმოთ კონკრეტული გარემოებების შესაფერისი აუდიტორული პროცედურები და არა იმ მიზნით, რომ მოსაზრება გამოვთქვათ კომპანიის შიდა კონტროლის ეფექტიანობაზე.

სს არდი დაზღვევა

ფინანსური ანგარიშგება 2019 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის

ქართულ ლარში

სრული შემოსავლის ანგარიშგება

	გ/შ	2019	2018
მოზიდული პრემია		47,802,076	37,599,700
გადამზღვეველის წილი მოზიდულ პრემიაში		(4,138,006)	(3,692,931)
წმინდა მოზიდული პრემია		43,664,070	33,906,769
ცვლილება გამოუმუშავებელი პრემიის რეზერვში		(3,446,473)	(2,017,515)
გამოუმუშ. პრემიის რეზერვის ცვლილებაში გადამზღვეველის წილი		144,267	(274,800)
წმინდა გამოუმუშავებული პრემია	4	40,361,864	31,614,454
საპროცენტო შემოსავალი	5	695,579	577,098
საკომისიო შემოსავალი	6	1,214,133	477,560
სულ შემოსავალი		42,271,576	32,669,112
ანაზღაურებული სადაზღვევო ზარალები	7	(32,448,707)	(21,544,498)
გადამზღვეველის წილი ანაზღაურებულ სადაზღვევო ზარალებში	7	5,146,732	1,032,700
ცვლილება სხვა სადაზღვევო რეზერვებში	17	332,741	(1,174,424)
გადამზღვეველის წილი სხვა სადაზღვევო რეზერვების ცვლილებაში	17	(631,979)	576,537
წმინდა შემოსავალი რეგრესიდან და გადარჩენილი ქონებიდან	8	2,418,941	1,112,526
რეგრესიდან მოთხოვნაში გადამზღვეველის წილის ცვლილება	8	(476,587)	(191,066)
წმინდა სადაზღვევო ზარალები		(25,658,859)	(20,188,225)
საკომისიო ხარჯები	9	(4,343,929)	(3,262,254)
საერთო და ადმინისტრაციული ხარჯები	10	(8,375,129)	(6,597,786)
მარკეტინგული ხარჯები	11	(1,006,355)	(850,175)
გაუფასურების და ჩამოწერის (ხარჯი) / აღდგენა	12	(624,071)	28,688
საპროცენტო ხარჯი	5	(398,126)	(188,695)
წმინდა სხვა შემოსავალი		187,225	148,327
მოგება საკურსო სხვაობიდან		88,631	32,777
მოგება დაბეგვრამდე		2,140,963	1,791,769
მოგების გადასახადის შემოსავალი / (ხარჯი)	13	84,702	(168,004)
წლიური მოგება		2,225,665	1,623,765



ბესიკ ნათუნაძე

დირექტორი



თამარ ქოშილაშვილი

მთავარი ბუღალტერი

სს არდი დაზღვევა

ფინანსური ანგარიშგება 2019 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის

ქართულ ლარში

ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება

აქტივები	გ/შ	2019	2018
ძირითადი საშუალებები	14	2,423,385	1,581,174
არამატერიალური აქტივები	15	345,796	286,358
საინვესტიციო ქონება	16	762,800	935,775
გადავადებული აკვიზიციის ხარჯები	9	2,014,673	1,638,979
გადაზღვევის აქტივები	17	7,274,393	7,762,105
სხვა აქტივები	18	2,490,283	2,893,329
მოთხოვნები დაზღვევიდან და გადაზღვევიდან	19	36,950,711	29,132,196
მოთხოვნები საკრედიტო დაწესებულებების მიმართ	20	6,601,895	5,425,131
ფული და ფულის ექვივალენტები	20	1,356,756	1,805,996
სულ აქტივები		60,220,692	51,461,043
კაპიტალი და ვალდებულებები			
კაპიტალი			
სააქციო კაპიტალი	21	3,485,210	2,600,000
გადაფასების რეზერვი		158,907	158,907
გაუნაწილებელი მოგება		7,409,527	5,538,352
სულ კაპიტალი		11,053,644	8,297,259
ვალდებულებები			
სადაზღვევო კონტრაქტებიდან წარმოშობილი ვალდებულებები	17	30,283,295	27,169,563
სხვა სადაზღვევო ვალდებულებები	22	13,506,877	11,423,928
გადავადებული საკომისიო შემოსავალი	6	254,848	265,491
მიღებული სესხები და სალიზინგო ვალდებულება	23	3,361,424	2,448,794
სავაჭრო და სხვა ვალდებულებები	24	1,508,961	1,186,045
გადავადებული მოგების გადასახადის ვალდებულება	13	3,248	194,130
მიმდინარე მოგების გადასახადის ვალდებულება		248,395	475,833
სულ ვალდებულებები		49,167,048	43,163,784
სულ კაპიტალი და ვალდებულებები		60,220,692	51,461,043



ბესიკ ნათენაძე

დირექტორი



თამარ ქოპილაშვილი

მთავარი ბუღალტერი

სს არდი დაზღვევა

ფინანსური ანგარიშგება 2019 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის

ქართულ ლარში

კაპიტალში ცვლილებების ანგარიშგება

	სააქციო კაპიტალი	გადაფასების რეზერვი	გაუნაწ. მოგება	სულ
2018 წლის 1 იანვარი	2,600,000	158,907	3,914,587	6,673,494
წლიური მოგება	-	-	1,623,765	1,623,765
2018 წლის 31 დეკემბერი	2,600,000	158,907	5,538,352	8,297,259
საადრისხოვო პოლიტიკის ცვლილებასთან დაკავშირებული კორექტირება (გ/შ 2.8)	-	-	(159,773)	(159,773)
2019 წლის 1 იანვარი, კორექტ.	2,600,000	158,907	5,378,579	8,137,486
ჩვეულებრივი აქციების გამოშვება	885,210	-	-	885,210
წლიური მოგება	-	-	2,225,665	2,225,665
გადახდილი დივიდენდები	-	-	(194,717)	(194,717)
2019 წლის 31 დეკემბერი	3,485,210	158,907	7,409,527	11,053,644



ბესიკ ნათუნაძე

დირექტორი



თამარ ქოშილაშვილი

მთავარი ბუღალტერი

სს არდი დაზღვევა

ფინანსური ანგარიშგება 2019 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის

ქართულ ლარში

ფულადი ნაკადების ანგარიშგება

	გ/შ	2019	2018
ფულადი ნაკადები საოპერაციო საქმიანობიდან			
სადაზღვევო პრემიის შემოღინება		42,665,512	33,490,044
გაღინება გადაზღვევის პრემიის მიხედვით		(1,508,288)	(2,389,506)
სადაზღვევო პრემიის წმინდა შემოღინება	4	41,157,224	31,100,538
გაღინება სადაზღვევო ზარალების მიხედვით		(30,943,337)	(20,496,291)
გადაზღვევის მიერ ანაზღაურებული ზარალები და რეგრესი		3,343,423	1,026,460
გაღინება სადაზღვევო ზარალების მიხედვით	17	(27,599,914)	(19,469,831)
გაღინება აგენტის საკომისიოს მიხედვით	9	(1,048,618)	(656,774)
გაღინება მომწოდებლების და თანამშრომლების მიხედვით		(9,520,461)	(8,024,214)
საოპერაციო საქმიანობით გენერირებული ფულადი სახსრები		2,988,231	2,949,719
გადახდილი პროცენტი	5	(287,050)	(176,290)
გადახდილი გადასახადები	10	(3,224,077)	(2,169,700)
წმინდა ფულადი სახსრები საოპერაციო საქმიანობიდან		(522,896)	603,729
ფულადი ნაკადები საინვესტიციო საქმიანობიდან			
ფიქსირებული და არამატერიალური აქტივების შეძენა	15	(158,195)	(1,550)
ძირითადი საშუალებების რეალიზაცია	14	144,900	7,000
გაცემული სესხები	18	(2,141,145)	(77,000)
გაცემული სესხების დაბრუნება	18	2,195,781	544,924
მიღებული პროცენტი	5	441,366	537,363
წმინდა ფულადი სახსრები საინვესტიციო საქმიანობიდან		482,707	1,010,737
ფულადი ნაკადები საფინანსო საქმიანობიდან			
მიღებული სესხები	23	4,096,782	3,103,195
სესხების დაფარვა	23	(4,198,665)	(1,952,633)
კაპიტალის შევსება	21	885,210	-
გადახდილი დივიდენდები	5	(194,717)	-
წმინდა ფულადი სახსრები საფინანსო საქმიანობიდან		588,610	1,150,562
ფული და ფულის ექვივალენტები			
1 იანვრის მდგომარეობით		7,167,916	4,273,337
წმინდა ზრდა/(კლება) წლის განმავლობაში		548,421	2,765,028
კურსთა შორის სხვაობის გავლენა ფულზე		191,969	129,551
31 დეკემბრის მდგომარეობით	20 ბ	7,908,306	7,167,916
შემადგენლობა			
ფული და ფულის ექვივალენტები	20	1,356,756	1,805,996
მოთხოვნები საკრედიტო დაწესებულებების მიმართ	20	6,601,895	5,425,131
სულ ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგების მიხედვით		7,958,651	7,231,127
მინუს დარიცხული პროცენტი		(50,345)	(63,211)
სულ ფულადი ნაკადების ანგარიშგების მიზნებისთვის	20 ბ	7,908,306	7,167,916

ბესიკ ნათუნაძე (დირექტორი)

თამარ ქოპილაშვილი (მთავარი ბუღალტერი)

RSM Georgia

85, Z.Paliashvili str
Tbilisi 0162, Georgia

T +995 (32) 255 88 99

F +995 (32) 255 88 99

www.rsm.ge

დამოუკიდებელი აუდიტორის მოსაზრება საკანონმდებლო მოთხოვნებთან შესაბამისობაზე

სს „არდი დაზღვევის“ მფლობელებს და ხელმძღვანელობას

ჩვენ ჩავატარეთ თანდართული 2019 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლით საანგარიშგებო პერიოდის მმართველობით ანგარიშის მიმოხილვა, რომელიც მომზადებულია ბუღალტრული აღრიცხვის ანგარიშების და აუდიტის შესახებ კანონის მე-7 მუხლის მე-6 პუნქტის მოთხოვნების შესაბამისად (შემდგომში - „საკანონმდებლო მოთხოვნები“).

მმართველობითი ანგარიშის მომზადებასა და მის შესაბამისობაზე საკანონმდებლო მოთხოვნებთან პასუხისმგებელია კომპანიის მენეჯმენტი, ასევე შიდა კონტროლზე, რომელსაც იგი აუცილებლად მიიჩნევს ისეთი მმართველობითი ანგარიშების მოსამზადებლად, რომელიც არ შეიცავს თაღლითობით ან შეცდომით გამოწვეულ არსებით უზუსტობას.

ჩვენი პასუხისმგებლობაა მიმოვიხილოთ მმართველობითი ანგარიში და გამოვთქვათ მოსაზრება რამდენად შესაბამისობაშია მმართველობითი ანგარიში საკანონმდებლო მოთხოვნებთან და რამდენად თანხვედრილია 2019 წლის 31 დეკემბრით მომზადებულ ფინანსურ ანგარიშგებასთან. იმ შემთხვევაში თუ მმართველობითი ანგარიში არ არის შესაბამისობაში საკანონმდებლო მოთხოვნებთან და თანხვედრილი ფინანსურ ანგარიშგებასთან ჩვენი პასუხისმგებლობაა, რომ განვაცხადოთ ამის შესახებ გამოცემულ დასკვნაში. ჩვენს მიერ შესრულებული სამუშაო შემოიფარგლება მხოლოდ: კომპანიის ხელმძღვანელობის და პერსონალის გამოკითხვით, ანალიტიკური პროცედურების ჩატარებით, მმართველობითი და ფინანსური ანგარიშის შედარებით და თანხვედრილობის განსაზღვრით, და იმ დოკუმენტების მიმოხილვით რაც მომზადდა იმისთვის, რომ კომპანია ყოფილიყო შესაბამისობაში საკანონმდებლო მოთხოვნებთან. ჩვენ არ განგვიხორციელება რაიმე სახის მმართველობითი ანგარიშის მოსამზადებლად დანერგილი კონტროლის სისტემის სპეციალური მიმოხილვა, და არ გამოვთქვამთ რაიმე სახის მოსაზრებას მმართველობითი ანგარიშის მოსამზადებლად დანერგილი შიდა კონტროლის ეფექტიანობაზე.

ჩვენი ჩატარებული მიმოხილვის საფუძველზე, ჩვენი ყურადღება არ მიუქცევია ფაქტებს რაც დაგვარწმუნებდა, რომ მმართველობითი ანგარიში არ არის თანხვედრილი აუდიტირებულ ფინანსურ ანგარიშგებასთან ან არ არის შესაბამისი ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგების და აუდიტის საქართველოს კანონის მე-7 მუხლის მე-6 პუნქტის მოთხოვნებთან ყველა არსებითი ასპექტის გათვალისწინებით 2019 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით.

შპს „არესემ საქართველო“

მმართველი პარტნიორი: გიორგი კვინიკაძე

2020 წლის 30 სექტემბერი

RSM Georgia



THE POWER OF BEING UNDERSTOOD
AUDIT | TAX | CONSULTING

Ltd. RSM Georgia is a member of the RSM network and trades as RSM. RSM is the trading name used by the members of the RSM network. Each member of the RSM network is an independent accounting and consulting firm which practices in its own right. The RSM network is not itself a separate legal entity in any jurisdiction.

Lead sponsors

